

ნილ გეიზანი პორალოინი



ინგლისურიდან თარგმნა
ლელა ფიროსმანიშვილმა

კრის რიდელის
ილუსტრაციებით



სულაკაურის
გამომცემლობა

*დავინყე ჰოლისთვის და
დავასრულე მედისთვის.*



ზღაპრები სინამდვილეზე უფრო დიდი სინამ-
დვილეა, არა იმიტომ, რომ ისინი მოგვითხრობენ,
თითქოს გველეშაპები არსებობენ, არამედ იმიტომ,
რომ გვარწმუნებენ, თითქოს მათი დამარცხება
შესაძლებელი იყოს.

გ. კ. ჩესტერტონი



კორალაინი კარის ზღურბლზე იდგა. მისი უზარმაზარი ჩრდილი, რომელიც სასტუმრო ოთახის ხალიჩაზე მოჩანდა, უსაშველოდ ანონილ, გაჩხიკინებულ ქალს ჰგავდა.

1

იმ სახლში გადასვლის შემდეგ კორალაინმა კარი მალევე აღმოაჩინა. შენობა ძალიან ძველი იყო – სხვენით, მინისქვეშა სარდაფითა და გაუდაბურებული ბალით, რომელშიც ვეება, ბებერი ხეები იდგა.

ეს იყო დიდი, ძველი სახლი, რომელშიც სხვებიც ცხოვრობდნენ. კორალაინის ოჯახს მხოლოდ მისი ნაწილი ეკუთვნოდა.

მის სფინქი და მის ფორსიბლი კორალაინის ბინის ქვემოთ, პირველ სართულზე ბინადრობდნენ. კარგად ჩამრგვალებული, ასაკოვანი ქალები იყვნენ. ბინაში რამდენიმე ბებერი შოტლანდიური ტერიერი ჰყავდათ: ჰემიში, ენდრიუ და სხვები. ერთ დროს მის სფინქი და მის ფორსიბლი თეატრის სცენაზე თამაშობდნენ; ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ მის ფორსიბლმა კორალაინს გაცნობისთანავე უთხრა:

– იცი, რა, კეროლან, – მის სფინქმა გოგონას სახელი შეცდომით წარმოთქვა, – თავის დროზე მეცა და მის ფორსიბლიც ცნობილი მსახიობები ვიყავით. ძალიან ცნობილები, საყვარელო. ღმერთო ჩემო, ჰემიშს ხილის ნამცხვარი არ მისცეთ, მერე მთელი ღამე მუცლის გვრემა გაანამებს.

– კორალაინი მქვია და არა კეროლაინი. კორალაინი, – უთხრა გოგონამ.

კორალაინის ბინის ზემოთ, სხვენზე, ერთი შერეკილი მოხუცი კაცი ცხოვრობდა, გრძელი უღვაშები ჰქონდა. მან გოგონას უთხრა, რომ თავგების ცირკს წვრთნიდა, მაგრამ მისი ნახვის ნებას არავის რთავდა.

– ერთ მშვენიერ დღეს, ჩემო პატარა კეროლაინ, ამ ახალ საცირკო წარმოდგენას მთელი მსოფლიო იხილავს. რაო, რა მკითხე? შეიძლება თუ არა, ცირკი ახლავე ნახო? ეს მკითხე?

– არა, – მშვიდად უპასუხა კორალაინმა, – უბრალოდ, გთხოვეთ, კეროლაინს ნუ მეძახით-მეთქი. მე კორალაინი მქვია.

– თავგების ცირკს ვერ ნახავ, – უთხრა სახურავის ქვეშ მცხოვრებმა კაცმა, – იმიტომ, რომ თავგები მზად არ არიან, ჯერ საკმარისად არ გამინვრთნია. გარდა ამისა, უარს ამბობენ, იმღერონ სიმღერა, რომელიც მათთვის დავწერე. საქმე ის არის, სიმღერები, რომლებიც თავგებისთვის შევქმენი, უნდა სრულდებოდეს, როგორც „უმპა-პა, უმპა-პა“, მაგრამ თეთრი თავგები სხვანაირად მღერიან: „ტუუდლ, უუდლ“. იქნებ აჯობებს, სხვანაირ ყველზე გადავიყვანო?

გოგონამ არ დაიჯერა, რომ თავგების ცირკი სინამდვილეში არსებობდა. გაიფიქრა, ალბათ მოხუცი ყველაფერს იგონებსო.

კორალაინი მეორე დღესვე იქაურობის შესწავლას შეუდგა. ბალის დათვალეირებით დაიწყო. ეს იყო დიდი ბალი, რომლის ბოლოში ჩოგბურთის მოედანი მოეწყობოთ, მაგრამ სახლში ჩოგბურთს არავინ თამაშობდა – ლობეში ბლომად ხვრელები მოჩანდა, ბადე კი თითქმის სრულიად განადგურე-

ბული იყო. იქვე თვალი მოჰკრა ერთიანად გადაბურდულ ვარდის ძველ ბუჩქნარსა და ლოდებით სავსე ქვის ბაღს, რომელშიც ყავისფერი, შხამიანი სოკოები წრიულად იზრდებოდა. თუ ვინმე შემთხვევით ფეხით გაჭყლებდა, სოკო საშინელ სუნს გამოსცემდა. იქ ჭაც იყო. მის სფინქმა და მის ფორსიბლმა რატომღაც პირველივე დღეს გადაწყვიტეს, გოგონა გაეფრთხილებინათ, რომ ჭა საშიში იყო და მისგან თავი შორს დაეჭირა. სწორედ ამისათვის კორალაინს ჯერ ჭის ადგილმდებარეობა უნდა დაედგინა და ისიც საჩქაროდ მის მოსაძებნად გაემართა.

ჭა მესამე დღეს ჩოგბურთის მოედნის გვერდით, ბალახითა და ბუჩქებით გადაბურდულ მინდორზე იპოვა. ხეების უკან, მაღალ ბალახში დაბალი, აგურით ნაშენი წრე თითქმის არ ჩანდა. ზემოდან, ვინმე რომ არ ჩავარდნილიყო, ფიცრები ენყო. ერთ ადგილას ფიცრიდან კოჟრი ამოვარდნილიყო და პატარა ჭუჭრუტანა მოჩანდა. კორალაინი ნახევარი დღე ჭის სიღრმეს ადგენდა – ჭუჭრუტანიდან ჭაში კენჭებსა და რკოებს ისროდა, თან წყალში ჩავარდნის ხმას აყურადებდა.

კორალაინი ცხოველების კვალსაც ეძებდა. იპოვა ერთი ზღარბი, გველის ტყავი (ოღონდ გველის გარეშე), ბაყაყის მსგავსი ქვა და ქვის მსგავსი გომბეშო.

გოგონამ ასევე აღმოაჩინა ამპარტავანი, გაფუყული შავი კატა, რომელიც ხან კედლებზე დასეირნობდა, ხან ხის კუნძზე ჩამოჯდებოდა, მაგრამ როგორც კი კორალაინი მასთან თამაშს დააპირებდა, მაშინვე სადღაც იმალებოდა.

აი, ასე გაატარა კორალაინმა ახალ სახლში პირველი ორი კვირა – ბალი ძირფესვიანად შეისწავლა და მინა მთლიანად გადაჩხრიკა.

დედამისი საუზმისა და სადილის დროს გოგონას სახლში დაბრუნებას აიძულებდა. იმ წელს ძალიან ცივი ზაფხული დაიჭირა, ამიტომ გარეთ გასვლის წინ დედა უნდა დაერნ-მუნებინა, რომ თბილად ეცვა. თუმცა, ყოველდღე სეირნობასა და იქაურობის დათვალიერებას მაინც ახერხებდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ მოწვიმა და შინ დარჩენა არ მოუწია.

– რა ვქნა, რა გავაკეთო? – დაინუნუნა კორალაინმა.

– წიგნი წაიკითხე, – უთხრა დედამ, – ვიდეოს უყურე. სათამაშოები გადმოიღე. ბოლოს და ბოლოს მის სფინქსა და მის ფორსიბლს, ან კიდევ იმ მოხუცს, ზემოთ რომ ცხოვრობს, აბეზარი შეკითხვებით შეუჩნდი.

— არა, – უპასუხა კორალაინმა, – არც ერთი მინდა, არც მეორე და არც მესამე. აქაურობის დათვალიერება მსურს.

– როდის დაგიშალე?! – უთხრა დედამ, – მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეს.

კორალაინი ფანჯარასთან მივიდა და წვიმას მიაცქერდა. ასეთ ამინდში გარეთ ვერ გახვალ. წვეთები დიდი სისწრაფით თავქვე ეშვებიან და ძირს შხაპუნით ცვივიან. ასეთი წვიმა არ გადაიღებს, სანამ თავის საქმეს არ გააკეთებს. ამჯერად მისი საქმე ბალის ერთ სველ, ატალახებულ გუბედ ქცევა იყო.

წიგნები დიდი ხნის წინ გადაიკითხა. სათამაშოები ყელში ამოუვიდა. ყველა ვიდეო ნანახი ჰქონდა. ბოლოს ტელევიზორი ჩართო. არხიდან არხზე გადადიოდა, მაგრამ ვერაფერი იპოვა – პიჯაკიანი კაცები საფონდო ბირჟასა და სასკოლო პროგრამებზე ბჭობდნენ. ბოლოს რაღაცას მიაგნო: შემეცნებითი გადაცემის ბოლო ნაწილი, რომელშიც ბუნების დამცავ შეფერილობაზე საუბრობდნენ. უყურა ცხოველებს, ფრინველებსა და მწერებს, რომლებიც ფოთლებს, ტოტებს

ან ნადირის სხვა სახეობებს ემსგავსებიან. თურმე თავის გადარჩენის მიზნით ასე ინიღბებიან. კორალაინს გადაცემა მოენონა და გული დასწყდა, რომ მალე დამთავრდა, თუმცა მაშინვე ახალი დაიწყო, რომელიც საკონდიტრო ფაბრიკას შეეხებოდა.

დროა, მამასთან მივიდეს და დაელაპარაკოს.

კორალაინის მშობლები შინ, კომპიუტერთან მუშაობდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ დროის უმეტეს ნაწილს სახლში ატარებდნენ. თითოეულს საკუთარი სამუშაო ოთახი ჰქონდა.

– გამარჯობა, კორალაინ, – მამა ისე მიესალმა, მისკენ არც მიუხედავს.

– მმმფფფ, – თქვა გოგონამ, – წვიმს.

– წვიმს, კოკისპირულად.

– არა, უბრალოდ, წვიმს, – უპასუხა კორალაინმა, – შეიძლება გარეთ გავიდე?

– დედა გიშვებს?

– არა. მითხრა, კორალაინ ჯონს, შენ ასეთ ამინდში არსადაც არ გახვალ.

– მაშინ ვერც მე გაგიშვებ.

– აბა, რა ვქნა? მინდა, იქაურობა დავზვერო.

– შენც ადექი და ბინა დაზვერე, – შესთავაზა მამამ, – აი, ქალაქის ფურცელი და სანერ-კალამი, კარ-ფანჯრები დათვალე, ლურჯი ფერის ნივთების სია შეადგინე, ცხელი წყლის ავზის შემსწავლელი ექსპედიცია წამოიწყე. მე თავი დამანებე, სამუშაო მაქვს.

– შეიძლება სასტუმრო ოთახში შევიდე?

ჯონსების სასტუმრო ოთახში ბებიის დანატოვარი ძვირფასი (მაგრამ მოუხერხებელი) ავეჯი იდგა. კორალაინს იქ